ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები“

სხდომის ოქმი N4

სხდომის ჩატარების დრო: 2026 წლის 30 აპრილი, 12:00 სთ.
სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობის II სართულზე არსებული სხდომათა დარბაზი, ქალაქი ქუთაისი, შოთა რუსთაველის გამზირი N3.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ევროპელი სოციალისტები"-ს მე-4 სხდომას უძღვება ფრაქცია "ევროპელი სოციალისტები"-ს თავმჯდომარე, **ბატონი იოსები კუჭავა.**

სხდომას ესწრებოდა :

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები“-ს წევრი: **თამთა ბაკურაძე.**

სულ: 1 წევრი

სხდომას არ ესწრებოდა :

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები“-ს წევრი: **შოთა ჯიშკარიანი.**

სულ : 1 წევრი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,ქუთგანათების სერვისი“-ს დირექტორი, **ბატონი მალხაზი ბასილაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები“-ს თავმჯდომარემ, **ბატონმა იოსებ კუჭავამ:** მოგესალმებით, დღეს ჩვენ ვატარებთ ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ სხდომას. დღის წესრიგი და მასალები ფრაქციის წევრებთან წინასწარ გადმოიგზავნა.

ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები“-ს თავმჯდომარემ, ბატონმა იოსებ კუჭავამ წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,ქუთგანათების სერვისი“-ს სამსახურის ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ბატონი მალხაზი ბასილაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის

ა(ა)იპ ,,ქუთგანათების სერვისი“-ს

დირექტორი

2. მიმდინარე საკითხები

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს :
დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები“-ს თავმჯდომარე ბატონი იოსები კუჭავა: დღეს ვატარებთ ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ მორიგ სხდომას, წარმოდგენილი დღის წესრიგის თანახმად, საკითხი ეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,ქუთგანათების სერვისი“-ს სამსახურის ანგარიშს, 2025 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. დეტალური ინფორმაციისთვის სიტყვას გადავცემ, **ბატონ მალხაზ ბასილაძეს.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,ქუთგანათების სერვისი“-ს დირექტორი, **ბატონი მალხაზ ბასილაძე:** მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ინფორმაციას ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისი“-ს მიერ 2025 წელს 12 თვის შესრულებული სამუშაოების შესახებ:

ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისი“-ს დაფინანსებამ 2025 წლის დასაწყისში შეადგინა 4 427 000 ლარი. აღნიშნული თანხიდან 2 480 303 ლარი, გარე განათების სისტემების მიერ წლის განმავლობაში მოხმარებული ელ. ენერგიის ხარჯისათვის იყო გათვალისწინებული და დაიხარჯა 2 237 896 ლარი. ასევე 878 500 ლარი შეადგინა თანამშრომლების შრომითმა ანაზღაურებამ და დაიხარჯა 867 980 ლარი. 72 438 ლარს შეადგენს შადრევნებისა და სასმელი წყლის ნიჟარების მიერ მოხმარებული წყლის ხარჯი. დანარჩენი თანხა დაიხარჯა საქონელი და მომსახურების მუხლით.

აღნიშნული ხარჯების საფუძველზე ქალაქის ტერიტორიაზე ეტაპობრივად მიმდინარეობს დაზიანებული და ძველი დარჩენილი ნატრიუმის შემცველი სანათების ჩანაცვლება ახალი დიოდური LED ტიპის სანათებით (ქუჩების პარამეტრებიდან გამომდინარე 150 ვტ და 250 ვტ სანათები ჩანაცვლდა შესაბამისად 90 ვტ და 120 ვტ სანათებით) რომელმაც შესაბამისად მოხმარებული ელ. ენერგიის ხარჯი შეამცირა ქუჩების განათებულობისა და სიკაშკაშის პარამეტრების შეუცვლელად. აღნიშნული სანათებით განათებულია ქალაქის ქუჩების 99%, დარჩენილის ჩანაცვლება მიმდინარეობს ეტაპობრივად, რომელიც 2026 წლისათვის ბოლოსათვის სრულად იქნება განხორციელებული. სულ დამატებულია და ჩანაცვლებულია 90 ვტ სანათი 986 ცალი, ხოლო 120 ვტ სანათი 142 ცალი.

2025 წლის პერიოდში მოსახლეობის თხოვნისა და ტერიტორიის საჭიროებიდან გამომდენარე დამონტაჟდა 89 ცალამდე ახალი ანძა დიოდური სანათით და მოეწყო დამატებით 50 ცალი ბრჯენი (კრონშტეინი) სანათით. ასევე განხორციელდა 4000 მეტრი დაზიანებული 2x25 ალუმინის თვითმზიდი იზოლირებური სადენის შეცვლა ახლით.

აღსანიშნავია ასევე რომ ამ პერიოდის განმავლობაში დამონტაჟდა და შეიცვალა 19 ცალი 63 ამპერიანი ავტომატური ამომრთველი, 107 ცალი 100 ამპერიანი ავტომატური

ამომრთველი, 120 ცალი 95 ამპერიანი კონტაქტორი, 3207 მეტრი ალუმინის 2x2.5 გამშვები სადენი, სკვერების რეაბილიტციებზე დამონტაჟდა 3700 მეტრი სპილენძის 2x1.5 და 2200 მეტრი სპილენძის 2x2.5 სადენი. შეიცვალა 18 ცალი ფასადის მინათების 150 ვატიანი ლედ სანათი, შეიცვალა 15 ცალი მეტალო ჰალოგენის 150 ვატიანი ნათურა, დამონტაჟდა 36 ცალი 10 ამპერიანი ფოტორელე, გაიხარჯა 665 ცალი საიზოლიო ლენტი, 5 მეტრი გოფრირებული მილი,

ქალაქის ტერიტორიაზე რიგ ქუჩებზე გაივლო ერთ და ორ კონტურიანი ღეტრძულა ხაზი, დაიხაზა ზებრა გადასასვლელები, ავტობუსის გაჩერებები, ავტომობილების პარკირების ადგილები. სულ საგზაო მონიშვნისთვის დაიხარჯა 10 600 კგ-მდე თეთრი საღებავი, 2 045 კგ. ყვითელი საღებავი, 67,5 კგ ვერცხლისფერი საღებავი. რიგ ქუჩებზე აღდგა დაზიანებული 40 ცალი და დამონტაჟდა ახალი 30 ცალი საგზაო ნიშნები.

ასევე პერიოდულად მიმდინარეობს დაზიანებული შუქნიშნების ნაწილების აღდგენა, სატრანსპორტო საშუალებების და ქვეითების უსაბრთხო მოძრაობისათვის

2026 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 4 690 000 ლარი. მათ შორის ხელფასისი ფონდმა შეადგინა 1 023 050 ლარი, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლმა შეადგინა 3 250 400 ლარი, ამ თანხიდან 2 518 480 ლარი გათვალისწინებულია მოხმარებული ელ. ენერგიის გადასახადისათვის. დღეის მდგომარეობით ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისი"-ს მიერ განხორციელებულია შემდეგი ძირიტადი შესყიდვა:

სანათები სატენდერო ფასი 298900 ლარი სახელშეკრულებო ფასი 167088 ლარი შპს „ზს";

სადენები სატენდერო ფასი 18970 ლარი სახელშეკრულებო ფასი 15940 ლარი „საქკაბელი";

ამწე კალათა სატენდერო ფასი 274274 ლარი სახელშეკრულებო ფასი 233600 ლარი შპს „თეგეტა ქომერშელ ვიიქლს";

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები“-ს თავმჯდომარე **ბატონი იოსები კუჭავა:** რამდენი სანათი არის შეძენილი და რა პერიოდში მოხდება მათი მოწოდება ? ჯამში რამდენი სანათი წერტილია ქალაქში ?

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,ქუთგანათების სერვისი“-ს დირექტორი, **ბატონი მალხაზ ბასილაძე:** გათვალისწინებული გვაქვს 1 500 ცალი 150-იანი ნათურა, ვნახავთ რა შედეგს მოგვცემს და შემდეგ უკვე ჩანაცვლდება 120-იანი, 150-იანი ნათურებით, ძირითადად შეიცვლება ცენტრალურ ქუჩებზე. რაც შეეხება სანათ წერტილებს, მათ რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 17 500 ერთეულს.

ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები“-ს თავმჯდომარე **ბატონი იოსები კუჭავა:** რამდენი აქვს ანაზღაურება მუშახელს ?

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,ქუთგანათების სერვისი“-ს დირექტორი, **ბატონი მალხაზ ბასილაძე:** ხელზე ასაღები თანხა შეადგენს 1 000 ლარამდე.

ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები“-ს თავმჯდომარე **ბატონი იოსები კუჭავა:** ვფიქრობ, რომ 1 000 ლარი არ არის საკმარისი მუშახელის შესანარჩუნებლად, აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ ანაზღაურების გაზრდაზე, რათა გავზარდოთ დასაქმებულთა კეთილდღეობა.

ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ **წევრი ქალბატონი თამთა ბაკურაძე:** საფეხმავლო გადასასვლელის დახაზვას თქვენ უზრუნველყოფთ? როგორ ხდება მონიტორინგი?

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,ქუთგანათების სერვისი“-ს დირექტორი, **ბატონი მალხაზ ბასილაძე:** ჩვენი სამსახური უზრუნველყოფს საფეხმავლო გადასასვლელის დახაზვას და მონიტორინგს, მთელი ქალაქის მასშტაბით ვმოქმედებთ და ვახდენთ იდენტიფიცირებას.

ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ **წევრი ქალბატონი თამთა ბაკურაძე:** რა ინტენსივობით იხაზება საფეხმავლო გადასასვლელები?

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,ქუთგანათების სერვისი“-ს დირექტორი, **ბატონი მალხაზ ბასილაძე:** ჩვენ ვიყენებთ სატრანსპორტი საღებავს, რომელიც

გამოიყენება პაქტიკულად მთელი საქართველოს მასშტაბით, არის 6 თვიანი პერიოდის. შემდეგ ხდება თავიდან შეღებვა. რაც შეეხება სიახლეს, თბილისის მსგავსად, ვფიქრობთ ორ კომპონენტიან საღებავზე, რომლის სისქე შეადგენს 2 მილიმეტრს და არის შედარებით მდგრადი. დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, რადგან „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა“ გადმოგვცა ჭავჭავაძის გამზირი, ახალგაზრდობის გამზირი და გუგუნავას ქუჩა, ჩვენი სამოქმედო არეალი გაიზარდა, ვაპირებთ შეთავაზებას, რომ გამოცხადდეს ტენდერი ორ კომპონტენტიან საღებავზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარე **ბატონი იოსები კუჭავა:** თუ დამატებითი შეკითხვები არ გვაქვს, გადავიდეთ კენჭისყრაზე „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,ქუთგანათების სერვისი“-ს სამსახურის ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ“ - ანგარიშის შეფასების თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე — 2,

მოწინააღმდეგე — 0,

თავი შეიკავა — 0.

დადგინდა: ღია კენჭისყრის შედეგად, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,ქუთგანათების სერვისი“-ს სამსახურის ანგარიში 2025 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობისა და 2026 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ“ - წარმოდგენილ საკითხს ფრაქცია „ევროპელმა სოციალისტებმა“ მხარი დაუჭირა და სამსახურის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ევროპელი სოციალისტები“-ს მე-4 სხდომამ მუშაობა დაასრულა და ფრაქციის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები“-ს

თავმჯდომარე იოსები კუჭავა